№ 19 18 მაისი 1873 18 მაისი № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მერვე

გაზეთის ფასი

	გაგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადებანი, „დროებაში„ დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

ხელის-მოწერა

მიიღება **თფილისში:** „დროების„ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: გერასიმე ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА„.

გამოდის კვირაში ერთხელ, ჰარასკევობით.

„**დროების**„ რედაქციის კანტორაში (სოლოლაკზე, სოლ. მირიმანოვის სახლებში) მიიღება **ნახევარი წლის ხელის-მოწერა** გაზეთზე. **ფასი** ნახევარი წლის გაზეთისა (პირველი ივლისიდამ), **გაგზავნით — სამი მანეთი, გაუგზავნელად — ორი მანეთი და ათი შაური.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი **ადრესით** უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“

შინაარსი

რედაქციის განცხადება.—**საქართველო:** ერთს ახალს განკარგულებაზე,—წერილი ამბები.—**„დროების„ კორრესპონდენცია:** ქართლიდამ.—**რუსეთი:** წვრილი ამბები.—**უცხო ქვეყნები:** საფრანგეთი—პარიჟიდამ („დროებ.„ კორრესპ.)—ესპანია.—**ნარევი.**—ბიბლიოგრაფიული განცხადებანი.

ბიბლიოგრაფია: „ქრებული„ პირველი წიგნი 1873 წლისა—ს. მ—სა.

საქართველო

ერთს ახალს განკარგულებაზე

„ს.—პეტერბურლის „უწყებებისა„ მე-46 №-ში წაიკითხეთ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი; ამ გაზეთში სწერენ, რომ ამ წლის ცხრა მარტიდამ საბერძნეთის საეკლესიო მამულები ბესარაბიაში და კავკასიაში, რომელსაც ფლობდენ საბერძნეთიდამ გამოგზავნილი ბერები, უნდა შევიდეს სახაზინო უწყებაშიო იმ პირობით, რომ შემოსავალი ამ მამულებიდამ, შეფასებისამებრ, რუსეთის მმართებლობამ საბერძნეთში მონასტრებს უნდა უგზავნოს, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც საჭირო იქნება ამ მამულების მმართვისათვის.

ვინც ამ საეკლესიო მამულების მმართვის ამბავი დაწვრილებით იცის, დაგვეთანხმება, რომ კავკასიაში მხოლოდ დღეს დასრულდა უკანასკნელად ბატონ-ყმური უფლება. ეს საეკლესიო ყმები სამწუხაროდ მდგომარეობაში იყვნენ, ყოველგვარი ხარჯის რთმევა, პირადი სამსახური, მტაცებლობა მათში გავრცელებული იყო..... მებატონე აზნაური და მისი გლეხი, ბევრათ თუ ცოტათ, უფრო ზნეობით შეკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან, ვინემ ვიღაც ორ დღეს მოსული ბერი და საცოდავი გლეხი. პირველები ფიქრობდნენ, რომ ისინი სამუდამოთ ერთად უნდა ყოფილიყვნენ, ამისთვის, ცოტათ თუ ბევრათ, ცდილობდნენ, რომ ერთმანეთთან მოთავსებულიყვნენ; ბატონისათვის საქებური იყო, თუ იმას ბევრი შეძლებული გლეხები ჰყავდა; აგრეთვე გლეხისთვისაც საქებური იყო, თუ იმას კარგი გამოჩენილი ბატონი ყავდა, რომ უფრო დაეცო მტრისაგან, ვინემ სუსტს მებატონეს. ამას გარდა მეზობლობას, ერთმანეთში ნათლობას და სხვა ამ გვარ ჩვეულებრივ კავშის კარგი მნიშვნელობა ჰქონდა მათ შორის.

არავითარი ამისთანა კავშირი არ იყო საბერძნეთის ბერებსა და მათ სამფლობელო გლეხებს შორის, იმისთვის რომ ეს მმართველი ბერები ყოველთვის დროებით იგზავნებოდნენ; მოვიდოდა ერთი ბერი, რომელმაც არც ენა, არც ჩვეულება, არც ზნე ჩვენი ხალხისა არ იცოდა; უმეტესი ნაწილი მათგანი სრულიად უსწავლელი და გაუნათლებელი კაცები იყვენ. ისინი მხოლოთ იმას ცდილობდნენ, თუ როგორ გაივსონ ჯიბეები; დაუწყებდნენ წეწა-გლეჯას საცოდავს გლეხებს და ხუთი-ექვსი წელიწადის შემდეგ ღარტაკად მოსული ბერი, ფულებითა და სიმდიდრით ავსილი დაბრუნდებოდა თავის სამშობლო ქვეყანაში. ამ ბერების ზედამხვედველი კაცი ჩვენში არ იყო, ადგილობრივ უმაღლეს სამღვდელოებას ისინი არ ექვემდებარებოდნენ და რაც სურდათ, იმას მოქმედებდნენ.

ძველათ, როცა ეს მამულები მეფეს შეუწირავს საბერძნეთის ეკლესიებისათვის — გუჯრით, მაშინ სულ მცირედი გადასახადი სდებიათ ამ გლეხებს: ამათ უნდა შეეტანათ ეკლესიაში, როგორც გუჯარში სწერია, სანთელი, ფარა, ზედაში და სულ მცირე გარდასახადი, რომელიც ბერს თუ არ ჩენდა ღღიურად, მეტი არ იქნებოდა, და რადგან ამ პატარა გადასახადის შეწირვას გლეხები ქველ-მოქმედებადაც სთვლიდნენ, იმათ სიამოვნებით და შეუწუხებელად შექონდათ ეს ცოტაოდენი გადასახადი. მერმე თან-და-თან სხვა და სხვა ბერებმა სხვა და სხვა ნაირი გადასახადი მოუმატეს, და ღღეს ეს გადასახადი იმდენზედ არის ასული, რომ ბევრათ უფრო მეტია, ვინემ ჩვენში საბატონო გლეხებს ემართათ.

უეჭველია, რომ ამ გლეხებს სასიამოვნოთ დაურჩებათ ბერების ხელიდამ დაძრომა, თუმცა, ჩემის ჰაზრით, შეფასებით ხარკის გარდახთაც საკმაოდ შეავიწროებსთ, თუ ფულათ ახდევინეს, რადგანაც ჩვენ გლეხს ხორაგის გადახთა უფრო ეადვილება, ვინემ ფულისა, რადგან ფული ძვირია. უფრო კარგი იქნებოდა, მმართებლობას რომ მოეთხოვა საბერძნეთის მონასტრებისაგან ანგარიში, თუ რამდენი შემოსავალი აქვთ იმათ ამ მამულებისაგან და ეს შემოსავალი მმართებლობას გაეყო გლეხებს შორის, შ ძლებისა გვარათ, და ყველასთვის გარდაეხთევინებინა. ეს დიდათ სასარგებლო საქმე იქნებოდა, რადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ საბერძნეთის მონასტრებს მეათედი ნაწილიც არ შედის მისი, რასაც აქ ბერები ხალხს ახდევინებენ; მაშინ არც მონასტრებს ერ-

---

ის და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დაგავიწყდებათ ის სამდურავი, რომელიც ამ დაგვიანებამ აღძრა თქვენში. მარტო ერთი შინაარსის დახედვა, უეჭველია, დაგარწმუნებთ, რომ ამ წიგნს ნამდვილი ჟურნალური ხასიათი აქვს და ინტერესით წაიკითხავს კაცი.

ვთქვათ რამდენიმე სიტყვა იმ სტატიებზე, რომელნიც ამ წიგნის შინაარსს შეადგენენ. „ბლეხის ნაამბობზე„, „ჩვენი ცხოვრების ყვავილზე„, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრებაზე„, „აჩრდილზე„ და „დასავლეთი ევროპის გონებით და სხ. მოძრაობაზე„ ღღეს ჩვენ თითქის არას ვიტყვით, რადგან ეს მოთხრობები და სტატიები ამ წიგნში ჯერ კიდევ არ გათავებულან.

* * *

უფ. ნ. სკანდელის უხვ კალამს ამ ნომრისათვის ორი სტატია უძღვნია: „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება„ და „ახალი ახალგაზდობა.„ ორივე სტატია სწორეთ ფასწრებულიაო, რომ იტყვიან, ის არის. „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება„ იმის გადაცვალების გამოა დაწერილი. როგორც თავიდამვე სჩანს, (ჯერ მარტო იმის ყმაწვილობაა აწერილი და გაკერით მაშინდელ საფრანგეთის მდგომარეობა), ამ კაცის ხასიათში ის ჰაზრი იქნება გაყვანილი, თუ ერთ უხეირო, უნიჭო კაცს და რამდენსამე იმის გაიძვერა მეგობრებს რამდენი დროებითი უბედურობის მოტანა შეუძლია რომ ლისამე ხალხისათვის, თუ ამ ხალხის ნაწილებს გონიერი „დამოკიდებულება„ არა აქვთ ერთმანერთთან და რიგიანი გაგება თავის მდგომირეობისა და სარგებლობისა. უეჭველია, ამ შემოკლებულ ბიოგრაფიაში აწერილი იქნება ის საფრანგეთის ზნეობით და მატერიალურად დამცემი და დამღუპველი მმართველობის სისტემა, რომლითაც ნაპოლეონმა ეს მშვენიერი ქვეყანა უკანასკნელ მდგომარეობამდი მიიყვანა; იმ საძაგელ მდგომარეობამდი, რომლიდამაც გამოსველას ეხლა საფრანგეთის საუკეთესო შვილები ცდილობენ და ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ...

* * *

მგონი, არცერთ საგანზე არ დაწერილა იმდენი ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ლიტერატურაში, რამდენიც ჩვენს ძველსა და ახალს თაობაზე. მაგრამ, იმედი გვაქვს, აქედამ არავინ არ გამოიყვანს, რომ უფ. სკანდელის სტატია მომეტებული და უადგილო სტატია იყოს. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ სტატიაში ბევრი ისეთი მოსაზრებაა მოყვანილი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის, უეჭველია, შეუნიშნავად და უნაყოფოდ არ ჩაიარს.

* * *

თავის სტატიას უფ. სკანდელი ძველი თაობიდამ იწყებს. ის ამბობს, რომ ამ ძველმა თაობამ მოიჭამა თავის წუთი-სოფელიო; იმის ბრმა, წინდაუხედავი და მხოლოთ თავის საკუთარი, კერძო სარგებლობისათვის გატარებული სიცოცხლე გათავდაო.

„საზოგადო მიზანი, სიკეთე, ღირსება და მომავალი იმას (ძველ თაობას) სიზმარშიაც არ მოლანდებია; მისი მიზანი ნიადგ პიროვანი იყო, იმას თავის თავისა და ნათესავების ამაღლება და გამდიდრება ნდომია და საზოგადოებისათვის რჩევით და მაგალითით მარტო ეს კერძოობითი, ბინძური, გამაცალ-ცალკევებელი მიზანი უჩვენებია.„

ყირიმის ომმა და საზოგადოთ ამ უკანასკნელი მეფობის ცვლილებებმა გამოაჭყეტინა ამ ძველ თაობას თვალები. იმათაც მოინდომეს საზოგადო საქმეების ხელის-მოკიდება; მაგრამ, რა საქმესაც არ მოავლო ხელი, ყველა გააფუჭა, ყველგან თავის უმეცრება გამოჩნდა, ყველგან თავის კერძო სარგებლობის ძებნა დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დააკლდებოდა და ხალხს კი ბევრათ შეუმსუბუქდებოდა გადასახადი.

რადგან ეს საქმე ჯერ გათავებული არ არის, უეჭველია, მმართებლობა შეუმსუბუქებს გლეხებს გადასახადს. მმართებლობას სრულის სიმართლით შეუძლია დაადგეს ჩვენი მეფე ბის გუჯარს, რომლითაც აქვს შეწირული მამულები მონასტრებს და შეაფასონ მხოლოდ ის, რაც გუჯარშია მოხსენებული, ანუ ნამდ ილი შემოსავალი ამ მონასტრებისა. ამ შემთხვევაში გლეხები თითქმის სრულიად გათავისუფლებულნი შეიქნებიან გადასახადისაგან.

პ. ჩხეიძე.

ქუთაისი, 10-ს მაისს, 1873 წ.

ამ კვირაში ქუთაისიდამ მოგვიგიდა ჩვენ დეკანოზის სეიმონ მიქიეისაგან გამოგზავნილი ოცდა ერთი მანეთი და თან წიგნი, რომელსაც აქვე ებეჭდავთ და რომლიდამაც მკითხველი ამ ფულების დანიშნულებას დაინახავს:

„ბანყიდენით მონაგებნი თქვენნი და მიეცით ქველის საქმე და ჰყავთ თავისა თქვენისა საფარე, რომელი არა დაძველდეს და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა იგი მპარავი არა მიუხების, არცა მღილმან განრყვნის.„ მსმენელი ამ მცნებისა, ქუთაისში მამა-პაპით მცხოვრები აზნაური პეტრე ინაკავაძე, გარდაიცვალა უმემკვიდროდ წარსულს 1871 წელში, მომანდომე ანდერძი„ თავისი სულისათვის მზრუნველობა და დამიტევა ერთი ქვითკირის სახლის შემოსავალი, ათის წლის ვადით, რომლისაგან შემოდის ოცდა-ხუთი თუმანი (250 მან.) წელიწადში. რასაკვირველია, ეს ფული უნდა ვხარჯო ყოველს გვარს ქველს საქმეზედ, სასარგებლოდ სულისა მისისა, შეხედვისამებრ ჩემისა, რომელთაგან 21 მანეთს ეხლა უნ-წილებ დამშეულთ ქიზიყელებს და გიგზავნით და ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ, ეს ფული შეაერთოთ სხვათა ამგვართათანა და მისცეთ საკუთნელი განკარგულება.„

მაშასადამე დამშეული ქიზიყელებისათვის „დროების„ რედაქციაში ეხლა სულ ხუთასოცდათვრამეტი მანეთი და შვიდი შაურია მოგროვილი (538 მან. და 35 კაპ.).

* * *

სამეგრელოდამ გვწერენ, რომ, ქუთაისის ლუბერნატორის ბრძანებით, ჩვენში 600 ხევის-თავი არის დაყენებული, ქურდობის მოსასპობელათაო და თითო ხევის-თავისათვის საზოგადოებებს ას-ას მანეთს ახდევინებენო....

* * *

ამბობენ, რომ ქუთაისის გიმნაზიაში ქართული ენის სწავლა ძალიან სუსტათ მიდის; ამბობენ, ისეთის მეთოდით ასწავლის იქაური მასწავლებელი ამ ენას და ისეთს წიგნებს აკითხებს შაგირდებსო, რომ იმათ სრულიად ეკარგებათ მშობლიური ენის სწავლის ხალისიო...

* * *

ჩვენ გავიგონეთ, რომ იმერეთის სოფლის მამასახლისებს მთავრობისაგან ბრძანება მოსულიათ, რომ თითო მოსახლე კაცზე თითო მანეთი შეკრიბონ-და ამ ფულებით ისევ გახსნან შკოლები, რომელნიც, უკანასკნელი მიწერილობის გამო, თითქმის ყველანი დაკეტილნი იყვნენ.

* * *

ზემო-იმერეთიდამ გვწერენ, რომ იქაურ სოფლის ‘ჩხარის მღვდელს, სპ. ჯუღელს, ამას წინათ თავის ხარჯით შკოლა გაუხსნია; მაგრამ იმ სოფლის სასამართლოს მწერალს უჩივლია, რომ ჩემს სოფელში შკოლის გახსნის ნება, ჩემს მეტს, არავისა აქვსო და დააკეტინეთ შკოლაო. მართლაც, ერთ კვირის შემდეგ მთავრობის ბრძანებით მამასახლისს დაუკეტია შკოლა; მღვდელს ეს ამბავი ეპისკოპოსისათვის შეუტყობინებია და როგორც იქნა ისევ გაუხსნია თავის შკოლა. ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ შკოლაში ორმოც ყმაწვილამდი დაიარებაო და მღვდელი დიდის ერთგულებით ასწავლისო.

* * *

კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველომ გადამდგარ პორუჩიკს ნიკოლაი ზუბარევს ნებართვა მისცა, რომ კავკასიის იქითა და აქეთ მხარეებში ოქროს მადანი ეძიოს.

* * *

„თერგის უწყებებში„ სწერენ, რომ, თუმცა ვლადიკავკაზის სიახლოვეს რკინის გზის სტანციის გაშენება ძალიან უჭირდათ, მაგრამ გზის ამშენებლებისა და ჩვენი მაზრის უფროსის მეცადინეობამ იმდენი მოახერხესო, რომ როსტავო-ვლადიკავკაზის რკინის გზის სტანცია თითქმის შიგ ჩვენი ქალაქის წრეში იქნებაო...

* * *

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში სამმა ინგლისის არმიის აფიცარმა გაიარა მგზავრად; ერთი იმათგანი იყო პოლკოვნიკი ბეკკერი (ძმა იმ გამოჩენილი მოგზაურის ბეკკერისა, რომელიც ეხლაც აფრიკაში არის)- გუსარის პოლკის კამანდირი, და დანარჩენი ორი კაპიტნები: ალეიტენ და ბილლ. ისინი, ინგლისის მთავრობის მინდობილობით, მოგზაურობენ და გუშინ სპარსეთისაკენ გაემგზავრნენ.

„დროების„ კორრესპონდენცია

ქართლის ჭორები

ერთს რომელღაც წიგნში წავიკითხე, რომ ქართველი კაცი მოგონებაში, ჭორიკანობაში ისეა დახელოვნებული, როგორც, ეთქვათ, ფრანცუზი მანქანების გამოგონებაშიო. „ქართველი კაციო!„ ერთი რომელიმე ნაწილი, თუ მთელი ქართველობა, მეთქი?—მაშინვე, წიგნის წაკითხვის შემდეგ, ამ ფიქრმა გამიარა თავში.

შემდეგ ამისა, როდესაც მიეიხედ-მოვიხედე მეზობლებში, დაეარწმუნდი, რომ ზემოხსენებული ძვირფასი საუნჯის მითვისებისათვის ერთი კაცის ნახევარი ცულლუტი, უსაქმური ცხოვრება უნდა. და რაკი ამ თანა სანატრელს მდგომარეობაში ჰყენ-ვიან უმეტეს ნაწილად ჩვენი მემამულეების წევრნი, ამისგამო ეს თვისებაც იმათ მიუღიათ. მორემ მუშა, მშრომელ ხალხს საჭორაოთ სადა სცალიან.

ეს სხვის ლაყბობასაც არ ათხოვებს ხოლმე ყურსა, თუ ზოგიერთ ძალიან დაგეშილმა მეჭორემ თავისის ლაყი ტვინით იმისთანა ჭორი არა მოიგონა რა, რომელიც პირდაპირ შეეხება ხალხს. მაშინ კი ხალხში ასტყდება ლაპარაკი და კითხვა. თუ კიდეც ხალხმა რამ გამოიგონა, ამ გამოგონებულს ყოველთვის საერო, საყოველთაო ბეჭედი აზის. აი, როგორც ამ ერთის წლის წინეთ ამნაირი ხმა იყო გავრცელებული ხალხში:

ამბობენო, ხალხი იტყოდა, რომ უმამულო კაცსაც ნადელი უნდა ბიჭეურ; ვისაც ბევრი მამული აქვს, იმას უნდა ჩამოერთვას და ვისაც არა აქვს, იმათ დაურიგდესო; მეტნაკლებობა მამულისა აღარ უნდა იყვესო, სუყველას თანასწორად უნდა ეჭიროს მამულიო და სხ. ამ ხმამ ბევრი შემძლეები მამულიანი მუშა კაცი დააღონა და ბევრს ფულიან კაცს მამულის შეძენის სურვილი დროებით დაუკარგა; უმამულო ღარიბ კაცს კი იმედი მისცა გლახაკობიდამ გამოსვლისა. საცა მიდგებოდი, სულ ამაზე ლაპარაკობდნენ და ამაზედ იყო გაჩაღებული კითხვა ერთმანეთს შორის და ეს კითხვები უმეტეს ნაწილს ხალხისას აღვიძებდა, ახალისიანებდა და უმცირესს კი აღონებდა.

ეს წასული ჭორია; ეხლა მოუბრუნდეთ დღევანდელს დღესა და ვნახოთ, რამ დააფიქრა ხალხი და რაზე ლაპარაკობს ისი?

დაიბადა ახალი ნამდვილი კეთილშობილური ჭორი, რასაკვირველია, კეთილშობილების თავში და ამაზედ ლაპარაკობს ხალხი. ამბობენ აქა, ვითომ ნადელები დროებით-ვალდებულ გლეხებს უნდა ჩამოერთვას და ისევ დაუბრუნდეთ მებატონეთაო.

ამ დღეებში შემხვდა ერთი ამ ახალი ჭორის მომგონებელთაგანი, რომელიც სოფლად ავრცელებს ამ ნამდვილ ჭორს და ვკითხ:

— ახალი ამბავი გეცოდინება რამე?

— არა ვიცი რა, სულ ძველია.

— როგორ, განა ქალაქში არ გაგიგონია, რომ გლეხებს ნადელები უნდა ჩამოერთვას და ჩვენ მემამულეთ დაგვიბრუნდეს?

— არა, ჯერ მაგ ჭორს ქალაქამდის არ მიუხწევია. ეს სოფლური თავადური ჭორი უნდა იყვეს. რაც ერთხელ მიეცა ხალხს და დაემტკიცა დოკუმენტებით (გრამოტებით), იმას ხალხს ველარავინ წაართმევს და ამ საქმეში ნაბიჯის უკან გადადგმა საშიშია. ამ ცხრა წლის განმავლობაში ხალხი თავის ნადელს ისე უყურებს, როგორც თავის საკუთრებას და ეხლა წართმევა ძნელია. ამისა თანა ლაყე ჭორით ტყუილათ უცრუებთ ხალხს გულს მამულის შემუშავებაზედ...

— შენ აგრე იქადაგე და ნახავ, ეს ჩემი სიტყვები გამართლდება, თუ არა.

შემდეგ ავტორი გადადის 1861 წლის ახალ-თაობაზე. იმის აზრით, ეს რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი თაობა, სრულებით დამზადებული არ იყო ძველ თაობასთან საბრძოლელად; ის არ იცნობდა პრაქტიკულ ცხოვრებას, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, ის ერიდებოდა ძველ თაობას. უნივერსიტეტებმა დაგვიმზადა ისეთი თაობაო, რომელსაც გაცნობილი ჰქონდათ იუსტინიანის კანონები, მგვიპტელი მონუმენტები, პეპლებისა და ბუზანკალების სცხოვრება და კაცობრიობის ცოდნა, საზოგადო ცხოვრება სრულებით არა ჰქონდათო. ზოგიერთ იმათგანს, მართალია, გულში მხურვალე სიყვარული ჰქონდათ თავის ხალხისა და საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესების იდეალებიც უტრიალობდნენ თავში, მაგრამ რადგან ამ ცხოვრებას ვერ იცნობდნენ და პრაქტიკულად არ იყვნენ მომზადებულნი, საზოგადოების გადასაკეთებელად, მარტო „სიტყვის„ და არა „საქმის„ კაცებად დარჩენო.

* * *

მხოლოთ ახლანდელი „ახალი ახალგაზდობის„ ნუგეში დარჩენია ავტორს. ახალმა ცხოვრებამ, მეცნიერებამ და საზოგადო განათლებამ ისეთი თაობა მოგვიმზადა, რომელიც მიმხვდარა, თუ ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაში მამულის შვილმა რა საქმეს უნდა მოკიდოს ხელი და რა და როგორ უნდა გააკეთოს. უფ. სკანდელი ამბობს, რომ ახალმა ახალგაზდობამ იგრძნო, რამდენი ძალა მდგომარეობს შეერთებულ შრომაში, ძმურათ საქმის წაყვანაში და ამნაირათ დამზადებული ემსახურება და შემდეგშიაც აპირებს თავის ქვეყნის სამსახურსაო. ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებელად, ავტორს მოჰყავს ციურიხის მაგალითი, სადაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იცინ, რამდენთამე ჩვენებურ ყმაწვილებს პატრა წრე შეუდგენიათ და ერთად სცდილობენ თავის ჭკუაგონების გახსნას და სხვა და-სხვა მეცნიერების შესწავლას და როცა ამ ნაირად ერთად დამზადდებიან, შემდეგ თავის სამშობლოში ჩამოსვლას და ცხოვრებასთან ბრძოლას.

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი სტატია უფ. სკანდელისა, ზოგიერთ წვრილმალ მოსაზრებებს გარდა, რომელზედაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით, კარგი, ჭკვიანური, გრძნობით დაწერილი პუბლიცისტიკური სტატიაა, და მკითხველი, უეჭველია, ყოველთვის სიამოვნებით წაიკითხავს ამგვარ სტატიებსა.

* * *

ამ სტატიაზე ორიოდე სიტყვის თქმის შემდეგ, ურიგო არ იქნება, მოვიყვანოთ დობროლიუბოვის ჩინებულად გადმოთარგმნილი ლექსი, რომელიც ამავე „კრებულის„ წიგნშია დაბეჭდილი და რომელიც, ჩვენის აზრით, უფ. სკანდელის სტატიას სწორეთ ეპიგრაფათ მოუხდება:

აი, სიკვდილსა კიდევ აცხადებს
ღვეს გაზეთებში შაი არშია,
მაგრამ ნაღველსა ეს არ მიმატებს
ნაღვლით არეულს სულს და გულშია.

რაღაც მხიარულ მღელვარებითა
ვიგებები სულ მე იმ ამბავსა,
რომ სიკვდილი გულდადებითა
თან-და-თან სთიბავს ძველ თაობასა...

ვის სიკვდილსაცა უწინ ეშიშობდი,
ის მოხუცები დღეს არ ჰსცხოვრებენ;
რასაც ძველებურს მე პატი ს ვჰსცემდი,
სულ მათთან საფლავს განისვენებენ...

განჰსცხრი, სიკვდილო, მწუხარე მხარეს,
რაც აქ მიხრწნილა, შთა-თქვ, გაჰფანტე,
და ხრწნილებისა ახალს სამარეს
ახალ ცხოვრების დროშა აღმართე!...

სხვათა შორის, ამ „კრებულის„ წიგნში დაბეჭდილია, როგორც სალიტერატურო ისტორიის მასალა, ოთხი წიგნი ჩვენი საუკეთესო პოეტის ნ. ბარათაშვილისა. ამ წიგნებში, და განსაკუთრებით პირველს იმათგანში, ნათლად იხატება ის სულის ბრძოლა, ის „ობლობა„ და ჰაზრის თანამოზიარის ნაკლებობა, რომელიც ასე მშვენიერად გამოხატულია მომეტებულ ნაწილ იმის ლექსებში („ჩემს მერანს,„ სული ობოლი,„ „ბორბალი სული„ და სხვ). აი რას ამბობს ის ერთს თავის წიგნში ერთ ალაგას:

„კიდევ მომნახა ჩვეულებრივმა ბოროტებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიმ ვნება რა არის ამ სამყაროს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისი სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ბეგარდამო ნიჭად, მას არც თუ გონჯა ჰქონია; ვისიც ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის სიწამლაისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?„

ეს წიგნი 1842 წელშია დაწერილი. თუ ეხლანდელს ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ფანრით ძალიან მოსძებნის კაცი მხოლოთ თითო-ოროლა სანუგეშო და გულის-დამამშვიდებელს მოვლენას, წარმოიდგინეთ, ამ ოცდა ათი წლის წინათ რა უნდა ყოფილიყო? როგორ უნუგეშოთ, ობლად და გულ-მოკლულად არ უნდა ეგრძნო მაშინ თავი განსაკუთრებით ისეთს მაღალის გრძნობისა და იდეალების კაცს, როგორის პატრონიც ნ. ბარათაშვილი იყო?!...

მ.

ამ გვარ ხმებს ისე თამამად აერცელებენ ხალხში, რომ ხალხი მართლაც დაფიქრდა და ეკარგება მიწის შემუშავების სურვილი.

რა არის მიზეზი იმ პირუტყულ სიმაუნაგისა, რომელიც ბადებს ჩვენს ხალხში ამ-გვარს ჭორს?

ბანა მიწის შემცირება მემამულეებისა?

სულაც **არა**, იმათ მიწა ბევრი აქვთ, იმ-დენი დარჩა თვითეულს იმათგანს, რომ თვი-თეულის ნაწილი რამდენსამე ათს, ოცს და კიდევ ბევრს მოქმედ, მშრომელს, მუშა კაცს ეყოფა შესამუშავებელად და სარჩენად მი-ზეზი იმაშია, რომ მემამულენი არიან უძ-ლურნი და უმოქმედონი; ბატონ-ყმობის დროს მუქთ ცხოვრებას შეჩვეულნი, ეხლაც იმ გზას ადგანან, ისევ ისე უსაქმოდ ატარე-ბენ თავიანთ ცხოვრებას. ამასთანავე თავათ ზარმაცებს შურთ და თვალს ტკენს ისა, რომ მუშა, მშრომელს ხალხს თავისის ოფლისა და სისხლის ღვრით მოჰყავს თავისი ღარი-ბული, უგემური წლის სარჩო, სულ ნაბა-ტონარს არ აძლევს და წლითა-წლობამდე ბ-ტონის მუცელს არ ემსახურება...

ამ ნაირათ, ამ ორგვარ ჭორში ნათლად იხატება ორგვაროვანი ხასიათი: ჩვენი მდაბიო ხალხისა და მებატონეებისა და იმათ ეხლან-დელი ზნეობითი და მატერიალური მდგო-მარეობა....

ა. სარკელი.

1873 წ., მაისის 7.

ს. ჭარელი.

რუსეთი

ბერმანიის იმპერატორი ვილჰელმი 26 აპ-რილს გა'ულა პეტერბურღიდამ და, როგორც გაზეთებში იწერებიან, ამ მოკლე ხანში ის და ჩვენი ხელმწიფე ვენის გამოფენაზე კი-დევ შეხვდებიან ერთმანერთსა.

* * *

ვლადიმირის გუბერნიის ეროობა შუამ-დგომლობს მთავრობასთან, რომ სასოფლო შკოლების გასახსნელად ხაზინამ 400,000 მანეთი ასესხოს იმას იმ პირობით, რომ, თუ მთავრობაც ნებას მისცემს, სპირტის სააქცი-ზო გადასახადს მოუმატებს და ამ შემოსავ-ლიდამ გადიხდის სესხს. გაზეთებში სწერენ, ვლადიმირის ეროობას სურსო, რომ ყველა სასოფლო შკოლებში ვალდებულებითი სწა-ვლა შემოიღოსო. ამასთანავე ამ ეროობას განუზრახავს, რომ ყველა იქაურ სამიკიტ-ნოებს ახალი გადასახადი დაადვას და ეს ფულებიც სასოფლო შკოლებს მოახმაროს.

* * *

ხარკოვის ქალაქის გამგეობას განუცხა-დებია მთავრობასთან სურვილი, რომ ოლონდ რეალური გიმნაზია გამართეთ ჩვენს ქალაქ-ში და ჩვენ 10,000 მანეთს შემოვწირავთო. ამასთანავე ის თხოულობს, რომ რაც შეი-ძლება მალე გამართონ უმაღლესი რეალუ-რი სასწავლებელი—ტეხნოლოგიური ინ'ტი-ტუტი, რომლის გამართვა დიდი ხანია გა-დაწყვეტილია; სახლის ყიდვას ამ ინსტიტუ-ტისათვის თვითონ ქალაქი აპირებს

* * *

ერთი პეტერბურღელი მდიდარი ვაჭარი მედიკო-ხირურგიური აკადემიის სიახლოეს აპირებს ერთი დიდი სახლის ყიდვას და იმ ნაირათ გამართვას, რომ ამ აკადემიის ღა-რიბ სტუდენტებს შეეძლოს იმაში ოთახების დაქირავება და მოთავსება.

* * *

ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია პეტერბურღიდამ გაგზავნილი ტელეგრამმა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ თ. ბის-მარკსა და თ. გორჩაკოეს ავსტრიის ელჩთან ჰქონიათ მოლაპარაკება პეტერბურღში და ამ მოლაპარაკების შემდეგ ვენაში კურიერი გაუგზავნიათ.

* * *

რუსულს გაზეთში «ბრაჟდანინში» (მო-ქალაქე) სწერენ, რომ ახალი სამხედრო კა-ნონების მოქმედება 1875 წლის 1 იანვრამ-დი არ დაიწყებაო.

* * *

ქიევის ღუბერნატორს სახელმწიფო ქო-ნების სამინისტროსთან უშუამდგომლებია ამას წინათ, რომ ამ გუბერნიის სასოფლო შკოლებში ელემენტარული მეურნეობის სწავლა დაეწესებინა. მაგრამ ამ სამინის-ტროს ზემოხსენებული ღუბერნატორისა-თვის უცნობებია, რომ, თუ მთავრობა ფუ-ლებს დანიშნავს სამეურნეო ცოდნის გასა-ვრცელებლად, უმჯობესი იქნებაო, რომ ცალკე სამეურნეო და განსაკუთრებით სა-ბალოსნო შკოლები გაიმართოსო.

* * *

«ბირჟის **უწყებების»** კორრესპონდენტი ყუბანის მაზრიდამ იწერება, რომ იქაურს სტანიცაში პალტავკაში და იმის მეზობლა-თაც მცხოვრებლებმა არეულება მოახდინე-სო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ, თუ მთავრობამ რამე განკარგულება არ მოახდი-ნა და არ დაკმაყოფილა აჯანყებულები, ეს არეულება ყველა ახლო-მახლო სოფლებს მოედებაო. მიზეზი არეულობისა, როგორც კორრესპონდენტი ამბობს, ის გარემოება ყოფილა, რომ იქაურ სამიჯნო კომისიას ჰსურს თურმე, რომ პალტავკას სტანიცას, რო-მელიც უმისოთაც შევიწროებულია, უმიწო-ბის გამო, ფასის გადაუხდელად მიაჭრას მი-წები, რომელიც აფიცრებს უნდა დაურიგდეს მუქთათაო. საქმე იმ ზომამდი მისულა ეხლა, რომ რამდენსამე სტანიცას ჯარები შემოარ-ტყეს, სასამართლო ადგილები, დუქნები და ეკკლესიები დაკეტილია თურმე და სტანი-ცებისაგან გამოგზავნილი დეპუტატები დაუ-ტუსაღებიათ. აჯანყებულებს 20 დეპუტატი აურჩევიათ და იმათთვის მიუნდვიათ მახლო-ბელ მთავრობასთან მოლაპარაკება. ისინი ამბობენ თურმე, რომ გამოგვიცხადეთ, "თუ ეს თქვენი განკარგულება პეტერბურღშიაც იციან,„ მაშინ დავემორჩილებითო.

* * *

სპარსეთის შაჰი ეხლა პეტერბურღში უნ-და იყოს მისული; გაზეთებში სწერენ, რომ სხვათაშორის რუსეთის იმპერატორთან იმას ერთი არაბული ცხენი მიჰყავს საჩუქრათაო, რომლის უნაგირი თითქმის ერთ მილიონად ღირსო, სულ თვალ-მარგალიტით არის გა-წყობილიო.

რუსეთის მთავრობას სპარსეთის შაჰისა-თვის, სანამ ის რუსეთში იმყოფება, სახარ-ჯავად ხუთმეტი ათასი მანეთი (15,000) დაუ-ნიშნავს დღეში.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

მაისის 14 თფილისში მოვიდა ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ ნაციონალური კრება, რომელიც საქმის განხილვის დროს, არ დათანხმებია მმართებლობას, და ამის გამო ტიერს პრეზიდენტობისათვის თავი დაუნებებია. პრეზიდენტად მარშალი მაკ-მა-ჰონი ამოურჩევიათ.

სანამ შემდეგი ნომერი გამოვიდოდეს ჩვენი გაზეთისა, მანამ ამ შენანიშნავი გა-რემოების თაობაზე, იმედი გვაქვს, უფრო და-წვრილებით შევიტყობთ რასმე. უეჭველი კია ეხლაც, რომ ეს სულ მონარხიელების ინტრიგები უნდა იყოს.

პარიჟი, 12 მაისი..

("დროების" კორრესპ.)

«**საითაც** ბურთი გადის, ჯარიც იმას მიჰ-ყვება.„ ეს კანონი, მარტო საბურთაო მოე-დანზედ კი არა, ყოველგან შეუცვლელი და ჭეშმარიტია: ვისკენაც გამარჯვება რჩება, უმრავლესობა(? იმის მხარეს იჭერს და ერე-ვა ფერხულში ნამდვილ მებრძოლეებთან. ან კი რა იქნება უფრო გონიერი, როგორც ტალღის გაყოლა? ნამეტურ მაშინ, როდე-საც ეს ტალღა ახლად მოქცეულებს ისე აჯილდოვებს, როგორც ძველ მოციქულებს? ამნაირი მოქმედება ამტკიცებს, ჩემის აზ-რით, მხოლოდ პრაქტიკულ ნიჭს ადამიან-ში და არა ტვინის სისუსტეს, როგორც ამბობენ ბევრი ბოროტი ენები. ვინ არ იცის მაგ., რომ ემილ ჭირარდენი უნიჭო კაცი არ არის; ვინ არ იცის, რომ ეს ჟურნალი-სტი წინათვე იგულისხმებს რომელიმე მხრის დამხობას, ან გაძლიერებას და ამისდა შე-საფერად მოაწყობს თავის ლიტერატურულ სიმებს. დღეს ჭირარდენი რესპუბლიკის გა-მაგრებას თხოულობს, რომ რესპუბლიკას მხნე და მარჯვე აღმასრულებელი თავის მი-ზნისა უნდა ჰყავდესო.

ჭირარდენი იმ გვამთაგანია, რომელიც ყველაზე უწინ თავის გადარჩენისათვის ზრუ-ნავს, და შეატყობს თუ არა, რომ მმართებლო-ბას ბოლო ეღება, მაშინ თავის კვერთხსაც უმატებს სასწორზედ; შეატყობს თუ არა, რომ რომელიმე პარტია ძლიერდება, ის თვალის დახამხამების უმალ მისკენ ჩნდება. ამისთა-ნა გამჭვრეტი და პრაქტიკული კაცისგან რესპუბლიკის საჭიროების ცნობა, ერთობ ჩინებულად გვიმტკიცებს ეხლანდელი მო-ნარხიული პარტიის სისუსტეს საფრანგეთში. ამნაირი აზრისავე არის ქაზიმირ პერრიე—კონსერატორების წინამძღოლი პალატაში; ამასვე ჭუკჭუკობენ ეხლა ისეთი უფერული გაზეთები, როგორც: «დე-დება„, «ლე-ტან„, «სუარ„ და სხ. ასეთი ძალა და გავლენა აქვს გამარჯვებას, ასეთი მნიშვნელობა აქვს ხალხის ხმას!

---

27 აპრილის კენჭის ყრა მთელმა საფრან-გეთმა აღტაცებით მიიღო; ტიერი ჰხედავს ამ მხიარულების გრძნობას და, როგორც ერთობ გაწერთნილი დიპლომატი, ბანს აძლევს მის-თვის უნებურს სამწუხაროს სიმღერაში. ტიერს იმედი აქვს, რომ რადიკალების შეწევნით დაამ-ტკიცებს ნაც. კრებაში თავის საწადელ კა-ნონებს და ამისთვისის გამბეტას პარტიის-თვის არ ზოგავს ახლა ალერსს და საამო სიტ-ყვებს. მაგრამ, რადიკალები საკმაოდ გამოიცა-დნენ და ვგონებ უწინდულათ უ. პრეზიდენტი ვერარ მიიტყუებს მათ თავის ანკესზედ. ზო-გიერთები, ამბობენ, რომ პრეზიდენტი გულ-გახსნილად გადმოვა რესპუბლიკელებისაკენ და თავის სიტყვაში მონარხიტებს სამუდამოთ მოუპობს ყოველს იმედსო. ვნახოთ, არც ეს არის შორს; 19 მაისს შეიკრიბება პალატა.

შესანიშნავია ის შემთხვევა, რომ 27 აპ-რილის კენჭის ყრით სრულიად არ აღშფო-თებულა გარეშე ქვეყნების პრესსა, როგორც წინასწარმეტყველობდენ აქაური რეაქციო-ნერები. ისეთი კონსერვატიული გაზეთი, რო-გორც "ტაიმსი„, ისიც კი ურიგდება წმინდა რესპუბლიკელების გამარჯვებას. "ტაიმსი„ ამ-ბობს, ამნაირი პარიჟის მოქმედება მართებლო-ბის გაფრთხილებას ნიშნავს; პარიჟმა გამოუ-ცხადა თამამად უ. პრეზიდენტს, რომ მან კელავ გულწრფელად იაროს რესპუბლიკის გზეზედ. ამ კენჭის ყრის შემდეგ, ნაც. კრებამ უნდა შეაყენოს თავისი შემთქმელობითი პოლი-ტიკა და ხალხის თავისუფლების დევნა.„ აქაურ გაზეთებს ჩვეულებათ აქვთ, რომ გადმობეჭდენ გარეშე ქვეყნების გაზეთ-ჟურ-ნალებიდგან, როგორი აზრისა არიან ეს უკა-ნასკნელნი საფრანგეთის რომელსამე შესა-ნიშნავ საქმეზედ.

"ფიგაროამ„ შეგვატყობინა ერთი რუსული გაზეთიდგან ამ ნაირი ცნობა: «ლიონის დე-პარტამენტში არის სოფელი ბაროდე, რო-მელსაც ნაც. კრებამ წაართვა მუნიციპალუ-რი უფლებები, ამისგამო პარიჟმა იმ სოფ-ლის მებატონე, უ. ბაროდე, დანიშნა ნაც. კრებაში თავის წარმომადგენლათა. ამით პარიჟს სურს პალატას თავისი უკმაყოფი-ლება განუცხადოსო.„ რასაკვირველია, ეს ოხუნჯობაა, ვინ დაიჯერებს, რომ რუსული გაზეთი ასე სცდებოდეს, მაგრამ უთუოდ "ფიგაროს„ იმ სტატიებმა მიიყვანა ამ ხუმრო-ბაზედ, რომელიც მეც შემხვდა ბიბლიოთე-კაში. როდესაც გადაწყვეტილი იყო, რომ რემუზას აღრჩევა შეუძლებელი არისო, მაშინ "მოსკოვის უწყებები„ და "ბოლოსი„ ამნაირ ღრმა-აზროვან სიტყვებს ბეჭდვიდენ თავის ფურცლებზედ: "იმის შემდეგ რაც რე-მუზა დათანხმდა, რომ მის პროკლამაციაზედ მოაწეროს: "რემუზა რესპუბლიკელი კანდი-დატი„, აღარ არის ეჭვი, რომ ტიერის მი-ნისტრი ამორჩეული იქნება.„ მეორე: «მთავ-რობამ ლიონში გაგზავნა სანდო კაცები და ბაროდე, უთუოდ, უკან წაიღებს თავის კანდიდატურას.„ ეს: «მარცხენა მხარეს დეპუტატებმა, გამოჩენილმა ჩერნუსკიმ და ლიტრემ მოიწოდეს პარიჟელები, რომ რა-მუზასთვის ჩაგდონ მათ თავისი კენჭი: ეხლა, ცხადია, ბაროდე გადადგება და, თუ კიდევ გაჯიუტდა, უთუოდ გააშავებენ.„ ამისთანა სასაცილო მოსაზრების ბეჭდვა, ამნაირი უცოდინაროობა პოლიტიკური მდგომარეო-ბისა, რასაკვირველია, გამოიწვევდა დაცინე-ბაზედ ისეთს მიზეზიან და ოხუნჯურ გა-ზეთს, როგორც "ფიგაროს.„

წასრულს წიგნში მე არ მქონდა ადგილი, შემეტყობინებინა თქვენთვის ერთი შესანი-შნავი რესპუბლიკელის დაკარგვაზედ რამე. მთელმა საფრანგეთმა მწუხარებით გაიგონა ამ კაცის სიკვდილი. მე ვამბობ დორიანზედ; მის დასაფლავებაზე დიდი ამბავი იყო. რეს-პუბლიკელების წინამძღოლმა გამბეტამ, წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა სამარეზედ; ორატორს ხშირათ აწყვეტინებდა საზოგა-დოება თავის ლაპარაკს "გაუმარჯოს რეს-პუბლიკასო!„ გადმოვიწერ აქაური ერთი გა-ზეთიდამ დორიანის ხარაკტერისტიკას:

"14 აპრილს პარიჟში გარდაიცვალა ერთი საუმჯობესო რესპუბლიკელთაგანი—დ ო-რ ი ა ნ ი (Dorian), რომელიც 1870 წლის დროებითი მმართებლობის მინისტრად იყო, თუმცა ამ მმართებლობის წევრებს ერთი ათად სჯობდა და მის მოქმედებას არ ეთან-ხმებოდა და ჰკიცხავდა. ეს საქმის კაცი იყო, მეტის-მეტად მოხერხებული, მშრომე-ლი და ენერგიული, მოუსვენარი, დაუთურ-გენელი ხასიათისა და თან თავ-გამომეტებუ-ლი, თავის პიროვნების დამვიწყებელი. მის-თვის სასიხარულო და სასიქადულო მარტო ის იყო, რომ რესპუბლიკის საქმე წარმატე-ბაში ყოფილიყო, სიკეთე მოტანილიყო, კეთილს წინ ნაბიჯი წაედგა, და არა თავი-სი საკუთარი პიროვნების დაწინაურება და გამოჩენა. როგორც მოხერხებულ და საშუ-ალების გამომჩენელ ორგანიზატორს, იმას რესპუბლიკურ პარტიაში ტოლი არა ჰყო-ლია, თუმცა ბევრი მისი ნაშრომი ხალხს სხვებისთვის მიუწერია და სხვების დარიგე-ბულად ჩაუთვლია.

«**დროებით** **მმართებლობაში**„ დორიანს ხმა როდი ჰქონია, რადგანაც ის ამ მმართებ-ლობის წევრი კი არა, მარტო მინისტ-რი იყო. მაგრამ მის სიტყვას მაშინ გავ-ლენა რომ ჰქონოდა და მის წინადადებას ნიადად პიკარის, ჭულ-ფერრის, ჭულ-სიმო-ნის და ჭულ-ფავრის წინადადება არ დახვ-დენოდა, ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა 1871 წლის გარემოებები და როგორი ბედი ექნებოდა ეხლა რესპუბლიკას!

«**დორიანისთანა** **კაცები**, **რომელთაც** **მათი** პარტიის წარმატება და გამარჯვება პირო-ვან თავ-მოყვარეობის სრულ დაკმაყოფილე-ბად მიაჩნიათ, და რომელთაც ვიწრო, კერ-ძოობითი, უსუსური თავ-მოყვარეობა არა აქვთ, საფრანგეთშიაც იშვიათები არიან. ამ-

ის გამო მათი სახელის პატივის-ცემით გამოთქმა, მათი ცხოვრების კეთილი სიტყვით მოხსენება ყოველი პატიოსანი კაცის ვალია.„

შეორე დიდი სამწუხარო სიკვდილი, რომელიც ჩვენ გუშინ გავიგეთ, ეს ჯონ-სტუარტ მილლის გადაცვალებაა ავინიონში. მილლი 67 წლის იყო, ჯერ კიდევ მხნე და მშრომელი. ამბობენ, რომ ბევრი რამ დარჩენია, რომელიც პირდაპირ დაიბეჭდებაო. "რაპპელმა„ შეგვპირდა, ამ დღეში ლუი-ბლანის სტატიას დაგბეჭდავთ შესანიშნავ ინგლისის ეკონომისტზედაო და მანებდინ ვამჯობინე მოვიცადო მაზედ ლაპარაკი. უთუოდ, ლუი ბლანი ბევრ ახალ და შეუმჩნეველ სხვებისგან თვისებას გვიჩვენებს მილლის ლიტერატურულ და საზოგადო ცხოვრებაში. მოვიყვან ბოკლის აზრს ამ კაცზედ: "მთელი ცასქვეშეთის სწავლულები და გონიერები რომ შეკრბენ და არჩიონ: ვის ეკუთვნის ეხლა ქვეყანაზე უპირატესობა სწავლაში და მეცნიერებაშიო, მე დარწმუნებული ვარ, ეს არეოპაგი დაასახელებს ჯონ სტუარტ მილლს„.

ამ დღეებში დღესასწაული ჰქონდათ საფრანგეთის კოლონისტებს, რომელნიც პარიჟში არიან. ეს დღესასწაული 48 რესპუბლიკამ რომ მონაობა გააუქმა, იმის მიზეზი იყო. კოლონიელებმა მოიწვიეს ის დეპუტატები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 48 მონაობის მოსპობისთვის. მარტინიკს წარმომადგენელმა შელხერმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღიარა, რომ "კოლლონიებს ისეთი უფლება და მონაწილეობა უნდა ჰქონოდა, როგორც თითონ ფრანცუზებსა, რომ სხლა ეს თანასწორობა უ. ბამბეტას მეცადინეობით მიღწეული არის: ბამბეტამ მოითხოვა, დროებით მართებლობის დროს, რომ კოლლონიებს კენჭის ყრის ნება ექნეს, რომ მათაც გამოგზავნონ ხალხის წარმომადგენელ კრებაში თავისი დეპუტატები.. ეს წინადადება მიიღეს—და მომავალში უნდა მოვინდომოთ, რომ ჩვენი კოლონიები არ ჩამოგვრჩენ განათლებაში, მეურნეობაში, ისინიც ისე სრული თავისუფალნი უნდა იქნენ, როგორც ჩვენ, იმათაც ისე უნდა ჰქონდეს ყოველნაირი საშუალება კეთილდღეობის მისაღწევად, როგორც ჩვენ. დიდი შეცთომილება და უგუნურებაა, როდესაც დამორჩილებულ ხალხსა და დამმორჩილებელს შორის არის რაიმე განსხვავება სახელმწიფოდა საზოგადობრივ ცხოვრებაში. ამნაირი წესი დამღუპველია ორივე მხრივ თვის, რომაელების ისტორია ნათლად გვიჩვენებს ამის მაგალითს. "ბაუმარჯოს კოლლონიებს, ჩვენს თანასწორ ძმებს, „დაბოლოვა შელხერმა თავისი სადღეგრძელო. მთელმა ზალამ ერთხმად შესძახა ორატორს სამაგიეროდ: «ბაუმარჯოს საფრანგეთის რესპუბლიკას!„

დღეს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშები, რომ იმ ოთხ დეპარტამენტში, სადაც დამატებითი კენჭის ყრა იყო გუშინ, სამი რადიკალი აურჩეეიათ. ჰფიქრობენ, რომ სხვაგანაც დამარცხებული იქნება მონარხიული პარტია. განსაკუთრებით დორბლით პირს უსვებს ყოველგვარ კონსერვატორებს რანკის აღრჩევა ლიონში. ეს ჟურნალისტი კომმუნის წევრი იყო და ეხლა გაზეთის «საფრანგეთის რესპუბლიკის„ რედაქტორია.

ტრიოდე სიტყვა აქაურ ტარიფზე: პარიჟში კარგი ხანია გაზაფხულია, სიცოხლის და სუნნელების ჰაერი მოქუხს ყოველგნით; მალე ზაფხულიც დადგება, გამოჩნდება ნათელი და ბრწყინვალე მზე. როგორაა, ნეტავი, ეხლა მანდ, ჩვენს საქართველოში? . . .

დ. მიქელაძე.

—ამას წინათ ფრანცუზულ გაზეთებში მხოლოდ კენჭის ყრაზე იყო გაუწყნარებელი ლაპარაკი: ყველა გაზეთები, ყოველი ფრანცუზი უსათუოთ ან რემუზაზე ლაპარაკობდა, ან ბაროდეზე, და ამ ორში ერთის მომხრე იყო და მეორესი მოწინააღმდეგე. ეხლახან საფრანგეთის გულში, პარიჟში, როგორც გაზეთებიდამ სჩანს, ამ ამბავზე ისე გაუწყნარებლივ ალარ ლაპარაკობენ და ბაასობენ, რადგან კენჭის ყრა გათავდა და პარიჟელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, ბაროდეს ამორჩევით, რომ იმათ არა აქვთ ნდობა ახლანდელი მმართებლობისა და ნამდვილი რესპუბლიკის მომხრე არიან და არა ისეთი რესპუბლიკისა, რომელსაც მონარხიის სული და გული ექნება და რესპუბლიკის კი მხოლოთ კანი.

ეხლა, უკანასკნელი ფოჩტით მოსულს გაზეთებში იმ კონსტიტუციის პროექტზე ლაპარაკობენ, რომლის შედგენა მუდმივ კამისიას აქვს მინდობილი და რომელიც, გაიხსნება თუ არა ნაციონალური კრება, მმართებლობამ უნდა წარუდგინოს იმას დასამტკიცებელად. ამბობენ, რომ ეს პროექტი უკვე შედგენილიაო; ძალიან კონსერვატორული კანონების პროექტის წარდგენას აპირებს მართებლობაო, მაგრამ უმთავრესი აზრი ამ პროექტისა მაინც ის იქნებაო, რომ საფრანგეთში ამ ჟამად უსათუოთ რესპლიკური მმართებლობის ფორმა უნდა დამკვიდრდესო.

— მკითხველმა იცის, რომ ამ უკანასკნელ დამატებით ამორჩევის დროს, ბაროდეს გარდა, კიდევ სხვა ხუთი რესპუბლიკელი ამოარჩიეს ნაციონალური კრების კანდიდატად და მხოლოთ ერთი მონარხიელი. ერთმა ამ ახლად ამორჩეულ დეპუტატთაგანმა, გამოჩენილმა რესპუბლიკელმა—ბანკმა, რომელიც მარსელმა ამოარჩია, თავის ამომრჩეველებს შემდეგი წიგნი მისწერა:

«ეხლა ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენს მიზანს კანონიერი საშუალებითა და სისხლის დაუღვრელად მივაღწევთ. ჩვენი, რესპუბლიკელების, ზომიერება ჩვენს ძალას ნიშნავს და ჩვენი მტრების, მონარხიელების, გაცხარება—მათ გულზე გაზეთქას; ისინი გრძნობენ, რომ დემოკრატიისა და ხალხის მფლობელობის დრომ მოაწია, რომლის ნებასაც მალე, ძალა-უნებურად, ტოებაც უნდა დაემორჩილოს. ვერსალის პალატის უკანასკნელმა ჟამმა მოაწია; იმის არსებობა ხალხის, მთელი ხალხის სურვილის საწინააღმდეგო საქმეა. ხალხმა სიკვდილის ბეჭედი დასვა იმას და უნდა მოკვდეს.„

ესპანია

ყველა გაზეთებში ერთხმად იწერებიან ეხლა, რომ დონ-კარლოსის მომხრეები თითქმის ყველგან დამარცხებულნი არიან მმართებლობის ჯარებისაგანაო, რომ იმათ დაეკარგათ გამარჯვების იმედი, ჯგუფ-ჯგუფად სტოვებენ ესპანიას და სხვა მოსამზღვრე ქვეყნებში იპარებიანო.

ეხლა მეორე გარემოება აღელვებს ესპანიას—ეს კენჭის ყრა და განმაწესებელი კრებისათვის ახალი დეპუტატების ამორჩევა. რესპუბლიკელებს იმედი აქვთ, რომ ამ ამორჩევებზე ისინი გაიმარჯვებენ და თავის კაცებს ამოარჩევენ იმ პალატის დეპუტატებად, რომელზედაც მმართებლობის ფორმის დადგენა და ახალი კონსტიტუციის გამოცემა იქნება დამოკიდებული. საუბედუროთ, თვითონ ამ რესპუბლიკურ პარტიაში არ არის თანხმობა და საქმეს ეს გააძნელებს. ამ პარტიებში ყველაზე უფრო ძლიერნი ორი არიან: ერთი ფედერალიური რესპუბლიკისა და მეორე ცენტრალისტები; დიდი ძალა აქვთ აგრეთვე რადიკალებს, რომელთა სწველა ესპანიაში სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრემ დანარჩენ ევროპის ქვეყნებში, რადგან იმათგან ზოგიერთნი მონარხიელებიც არიან.

— ესპანიის ოფიციალურს გაზეთში მმართებლობის ცირკულიარია დაბეჭდილი, რომელშიაც ფიცხელი ბრძანებაა გამოცხადებული, რომ ლუბერნატორებმა ამორჩევებზე არაევითარი გავლენა არ იქონიონ და ხალხს ძალა არ დაატანონ, რომ მაინცა და მაინც ისეთი პირები ამოარჩიონ მომავალ კრებისათვის, რომელნიც მმართებლობას იამებაო, ვინც ჰსურთ, ის ამოირჩიონო.

ნარევი

ნიუ-იორკის გაზეთებში სწერენ, რომ წელს ამ ქალაქის უნივერსიტეტში ექვს ქალს გაუთავებია სწავლა მედიცინის ფაკულტეტზე და ექვსსავე დოქტორის დიპლომი მიუღია.

* * *

პარიჟში ბევრს ლაპარაკობენ თურმე ამჟამად ერთ ახალგაზდა, ლამაზ ქალზე, რომელიც ამ დღეებში მოლოზნად კურთხებულა. წასული ოქტომბრის დროს ეს ქალი ლოარის-და-შერის დეპარტამენტში ცხოვრებდა თურმე თავის მამის სახლში, და აჰ სახლშივე ოციოდ ნემეცის აფიცრები იყვნენ ჩაყენებულნი, რადგან ეს დეპარტამენტი ნემცების ხელში იყო. ერთ ხელ ერთმა ნემეცის აფიცერმა, ზრდილობისა და პატიოსნებისაგან გამოსულმა, სადილობის დროს მოხვია თურმე ამ ქალს წელზე ხელი და კოცნას უპირებდა. ქალმა იმწამსვე უკან დაიხია. ერთი თვალის დახამხამებაში მოავლო ხელი დანას და აფიცერს გულში ჩაუხარა. ამის გამო ეს ქალი დაიჭირეს, სატუსაღოში ჩასვეს და სიკვდილით დასჯა უნდოდათ; მაგრამ ეს ამბავი შრიდრიხ-კარლოსმა შეიტყო თურმე და მისწერა იქაურ ჯარის უფროსს, რომ ქალი ეხლავე გაათავისუფლეთო.

* * *

ერთი ამერიკელი გაზეთი გვარწმუნებს, რომ რიო-ჟანეიროში (ბრაზილიაში) ერთი კაცი ცხოვრებსო, რომელიც 1694 წელში არის დაბადებული. (მაშასადამე ეხლა ეს კაცი 179 წლის ყოფილა!) გაზეთი ამბობს, რომ ეს კაცი ეხლაც მხნეთ არისო, მხოლოთ ფეხები აქვს დასუსტებულიო; იმას 23 შვილის-შვილის-შვილის-შვილი ჰყავს თურმე ხელა ცოცხალი.

* * *

დღემდი ინგლისის სასამართლოები დიდ ჯარიმას ახდევინებდნენ ისეთს კაცებს, რომელნიც რომელსამე ქალს ცოლად შერთვას დაპირდებოდნენ და მერე ალარ შეირთავდნენ. თქმის ყოველ კვარაში იყო თურმე ლონდონში ამისთანა პროცესსები: ქალები უჩიოდნენ კაცებს, რომ ცოლად შერთვა დამპირდა, სიყვარული გამომიცდახადა და ბოლოს მომატყუილაო; სასამართლოები ყოველთვის ქალების მხარეს იჭერდნენ და ხშირათ დიდ ჯარიმას ახდევინებდნენ კაცებს ამგვარად ქალების მოტყუებისათვის. მაგრამ ბოლოს უგრძვნიათ ამ ჩვეულების სისულელე (რადგან, თუ რომელსამე მხარეს არ უყვარს, დაქორწინებამდი მოშორება სჯობია, ვიდრემ მერე,—ან დაქორწილება და შემდეგ მთელი სიცოცხლის უგემურათ და უსიამოვნოთ გატარება) და უკანასკნელ დროს ამგვარ საქმეებისთვის სასამართლოები კაცებს მხოლოთ 1/2 ან 1/4 კაპიკს ახდევინებენ თურმე, იქნება ქალებს ჩივილის სურვილი დაუკარგოთო.

* * *

ლონდონის პოლიციას გაუგზავნია ვენაში ყველა იმ ქურდებისა და ჯიბგირების ფოტოგრაფიული კარტოჩკები, რომელნიც ვენის გამოფენაზე აპირებენ წასვლას, რადგან იქ უხვ საშოვარს მოელიან. ამას წინათ იწერებოდნენ, რომ ლონდონის ქურდების საზოგადოებამ ორი თავის ავტორი გამოგზავნა ვენაში, მაგრამ პოლიციამ ორივე დაიჭირა.

* * *

გამოჩენილმა საფრანგეთის მეცნიერმა ლიტრრემ ერთს ჟურნალში დაბეჭდა სტატია ეხლანდელს საფრანგეთის მდგომარეობაზე, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, რომ თუ ჩვენს ქვეყანაში ხელ-ახლავ მონარხია დაფუძნდა, მაშინ ჩვენც ისეთი ბედი მოგველის, როგორც პოლშას დაემართაო. «მაშინ მე რომელსამე უცხო ქვეყანაში გადავიკარგებიო, ამბობს ლიტტრე, რომ ჩემი სამშობლოს უბედურება არ ვნახოო, და ამ უცხო მიწაში ჩავყრი ჩემ ძვლებსაო.„

* * *

ბერლინის თეატრების დირექციასა და გამოჩენილ მომღერალ ქალს ლუკას ამას წინათ რალაც უთანხმოება მოუვიდათ; ამის გამო ლუკა ამერიკაში წავიდა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტს მისცა თხოვნა, რომ ამერიკის მოქალაქედ მოელოთ და, მიიღეს თუ არა, ბერლინის თეატრების დირექტორს წიგნი გამოუგზავნა, რომელშიაც შემდეგი სიტყვები სწერია: "შამდურო სამშობლოვ, ჩემ ძვლებსაც არ დაგიტოვებ შენ!„

* * *

ერთს პოლშელ გლეხს. ვარშავის მახლობლად, სამი დიდი ხე მოუტანია და ღამე, რომ არავინ მომპროსო, შინ შემოუტარია. შუალამეზე უეცრათ იმას თავის შვილების ყვირილი და საშინელი ტირილი გაუგონია, მაგრამ ამას ყური არ უთხოვებია, უთქვამს, ეხლავ გაჩუმდითო, და თვითონაც გადაბრუნებულა მეორე გვერდზედ და ღრმათ დაუძინია. დილას რომ გათენებულა და წამომდგარა, იმას საშინელი სნახვა უნახავს: სამი იმის შვილი რუმბივით გასიებულები ეყარნენ და მომკვდარიყვნენ; იმათ გვერდით სამი დიდი გველი იწვა. უეჭველია, რომ ეს გველები შეშას შემოჰყოლია და იმათ ღამე დაუკბენიათ საწყალი ყმაწვილები.

* * *

იმ საფრანგეთის მუშებისათვის, რომელნიც ვენის გამოფენის დასახედავად უნდა წავიდნენ და რომელთთვისაც გაზეთებმა ამას წინათ ხელის-მოწერა გამართეს, 50,000 ფრანკი შეუკრებიათ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს წრეევანდელი

«კრებულის„

პირველი წიგნი.

მოგვყავს შინაარსი: I. გლახის ნაამბობი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა. II. ჩემს მეგობარს ნ....ს, ლექსი აკ. წერეთლისა. III. ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა. ნიკ. ბარათაშვილის წიგნები IV. გლეხური სიმღერა, ილ. ჭავჭავაძის მოგზაურობილთაგანი. V. ნაპოლეონ მესამის ცხოვრება. ნ. სკანდელისა. VI. გარდაცვალებაზედ. ლექსი დობროლიუბოვიდამ. VII. ჩვენი ცხოვრების ფაიფური, მოთხრობა ბ.—თელისა. VIII. დასავლეთი ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუკუნეში, ნ. ცხვედაძისა. IX. რამდენიმე ხანა პოემისა „აჩრდილი„. ილ. ჭავჭავაძისა. ახალი ახალგაზდობა, ნ. სკანდელისა.

ტფილისში ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში,—ხიდზედ.—

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ი. ბოგებაშვილისა, იბეჭდება მეექვსე შესწორებული გამოცემით, რიცხვით 14,400 ეგზემპლიარი და ამ დღეებში მზათ იქნება გასასყიდათ.

აგრეთვე იბეჭდება, მეორე გამოცემით «ბუნების ქარი.„

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Мая, 1873 г. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.